**გაკვეთილის გეგმა№3**

მასწავლებლის სახელი,გვარი: თეა ქობულაძე
პირადი ნომერი: **60002013929**
საგანი: **ქართული ენა და ლიტერატურა**
სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო,IXა
მოსწავლეთა რაოდენობა: 12(კლასში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე)

**გაკვეთილის თემა**: ეროვნული ალტერნატივა - ბედისწერისა და ბედნიერების, აუცილებლობისა და თავისუფლების ორთაბრძოლა- ერეკლე მეფის გადაწყვეტილების შეფასება.პოეტის პოზიცია. პოემა (,,ბედი ქართლისა“)

**გაკვეთილის მიზანი**: მოსწავლეები იმუშავებენ ტექსტებზე ,,სუმბული და მწირი“ ,,საფლავი მეფის ირაკლისა“ ,,1832 წლის შეთქმულების ამსახველი ისტორიული მასალა“. მასალებზე დაყრდნობით განსაზღვრავენ პოეტის პოზიციას. პოემაზე დაყრდნობით განიხილავენ ეოვნული ალტერნატივის საკითხს.გამართავენ დისკუსიას თემაზე -თავისუფლება და აუცილებლობა.

**ქართ. IX. 5.** მოსწავლეს შეუძლია დისკუსიისა და კამათის სტრატეგიების გამოყენება.

- გამოკვეთს მნიშვნელოვან ადგილებს ზეპირი მოხსენებიდან;
- ითვალისწინებს დისკუსიისა და კამათის მონაწილეთა შესაძლო არგუმენტებს და ამზადებს შესაბამის პასუხებს;
- საპირისპირო არგუმენტების მოსმენისას ჩაინიშნავს ძირითადსა და მთავარს, რასაც შემდგომში იყენებს კონტრარგუმენტებისათვის;

**ქართ. IX. 8. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.**
- აზუსტებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას; ამოწერს საკითხებს შემდგომი განმარტებისა და დამუშავებისათვის;

**გაკვეთილის მიზანი სრულად შეესაბამება ესგ-ს მოცემულ ინდიკატორს,ხოლოგაკვეთილის თემა -სასწავლო წლის მოცემულ პერიოდს.**

| **№** | **აქტივობის მიზანი და აღწერა** | **გამოყენებული მეთოდი/მეთოდები** | **კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები** | **სასწავლო რესურსები** | **დრო (წთ.)** |
|---|---|---|---|---|---|

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | **საორგანიზაციო საკითხების მოგვარება,პროვოცირება ახალ მასალაზე გადასასვლელად აქტივობის მიზანი:** მოსწავლეთა ორგანიზებულობა,კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა,საშინაო დავალების ანალიზით თემისა და მიზნის გაცნობა.<br><br>**აქტივობის აღწერა:** საორგანიზაციო საკითხების მოგვარების შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვ,გაიხსენონ რა თავისებურებით გამოირჩევა არგუმენტირებული ესე(საშინაო დავალების თემატიკაზე დაფუძნებით) და გავაცნობ გაკვეთილის თემისა და მიზნებს.<br><br>**შეფასება კრიტერიუმების გაცნობა**<br>**აქტივობის მიზანი:** მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა.რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს. შეფასების რუბრიკით,ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტით მისაღწევი შედეგების ხარისხის დადგენას.<br>**აქტივობის აღწერა:** თემისა და მიზნის შესაბამისი აქტივობის შეფასების რუბრიკის გაცნობა.<br>**დანართი № 1** | ვერბალური | საერთო საკლასო | სლაიდ-შოუ.<br>**მიზანშეწონილობა:** მოტივაციის ამაღლება.ყურადღების კონცენტრირება ახალი მასალის თემაზე.<br><br>შეფასების რუბრიკები საკლასო ოთახში ფლიფჩარტზე დაწერილი და გაკრული.ასევე მოსწავლეთა მერხებზე დალაგებული.<br>**მიზანშეწონილობა: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.** | 6წთ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2. | | ვერბალური | საერთო საკლასო | მინიპლაკატზე დაწერილი შეფასების კრიტერიუმები,მოსწავლეებს ყურადღების კონცენტრირების საშუალებას მისცემს მთელი გაკვეთილის განმავლობაში. | 2წთ. |
| 3. | **ჯგუფური მუშობა**<br>**აქტივობის მიზანი:**ურთიერთნამშრომლობისა და აზრთა გაზიარების ხელშეწყობა. შეწავლითი და ანალიტიკური კითხვის უნარის განვითრება.<br><br>**აქტივობის აღწერა:ჯგუფური მუშობა**<br>მოსწავლეებს ვაჯგუფებ. თითოეულს ვაძლევ დავალებას და ინსტრუქციას. მათ უნდა წაიკითხონ ტექსტი.<br>I ჯგუფის წევრებს ვთხოვ პოემის ტექსტსა და ლექსზე (,,სუმბული და მწირი“ ) დაყრდნობით გამოკვეთონ პოეტის პოზიცია.<br>II ჯგუფს დავავალებ პოემის ტექსტსა და ლექსზე (,,საფლავი მეფის ირაკლისა“) დაყრდნობით | პრაქტიკული მუშაობა<br><br>ინსტრუქტაჟი | ჯგუფური | სახელმძღვანელო ,,ქართული ენა და ლიტერატურა“ვ.როდონაია და ავტორთა ჯგუფი<br>**მიზანშეწონილობა:** შესწავლითი კითხვის,ურთიერთთან ამშრომლობისა და აზრთა გაზიარების ხელშეწყობა. | 10წთ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | იმსჯელონ პოეტის პოზიციაზე.<br>III ჯგუფს ვთხოვ პოემის ტექსტსა და ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით გამოკვეთონ მწერლის პოზიცია.<br><br>მოსწავლეები განსაზღვრულ დროში ასრულებენ მუშაობას და გადადიან მუშაობის შემდეგ ეტაპზე:პრეზენტაცია | | | | |
| 4. | **პრეზენტაცია აქტივობისაღწერა:**მოსწავლეები ჯგუფში ირჩევენ ხმათა უმრავლესობით პრეზენტატორს და წარადგენენ თავიანთ შესრულებულ სამუშაოს აუდიტორიის წინაშე.პრეზენტაციისათვის თითოეულ ჯგუფს ეძლევა 4 წუთი.<br>ვსვამ დამაზუსტებელ შეკითხვებს. | პრეზენტაცია<br><br>კითხვა-პასუხი | საერთო საკლასო | მოსწავლეების მიერ შექმნილი რესურსი.<br>**მიზანშეწონილობა:** განუვითაროს მოსწავლეს დამოუკიდებელი და ანალიტიკური აზროვნების უნარი.პრეზენტაციის უნარი. | 16წთ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5. | **დისკუსია:**<br>**აქტივობის მიზანი:**<br>მსჯელობის,კრიტიკულიაზ რონებისა დაპრობლემის გადაწყვეტის უნარი<br>**აქტივობის აღწერა:**<br>დაფასთნ ერთმანეთის საპირისპიროდ განლაგებული იქნება 2 სკამი,ერთიც შუაში ექსპერტისათვის.მოხალისე ები გამოვლენ ჯგუფიდან და იმსჯელებენ მასწავლებლის მიერ დასმულ სადავო საკითხზე( ეთანხმებით თუ არა ერეკლეს გადაწყვეტილებას?)საკუთრ ი აზრის გამოსათმელად ეძლევათ 2წთ.ექსპერტი აჯამებს. ბოლო სიტყვას მასწავლებელი ამბობს,რომელიც აფასებს არგუმენტებს და არა პოზიციას. | თავისუფალი სკამი | საერთო საკლასო | ჯგუფური მუშობისას დამუშავებული ტექსტები<br>**მიზანშეწონილობა:**<br>მსჯელობის,კრიტიკულ ი აზროვნებისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარი | 6წთ. |
| 7. | **საშინაო დავალება:**<br>დაწერეთ არგუმენტირებული ესე- ,,თავისუფლება ადამიანის მთავარი უფლებაა“<br>**მიზანი:**საშინაო დავალების შესრულება ემსახურება მეხსიერებაში ცოდნის ხანგრძლივ გადატანას.აფართოებს სწავლის შესაძლებლობას და ხელს უწყობს შესწავლილის გამყარებას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. | ვერბალური ინსტრუქტაჟი | საერთო საკლასო | **მიზანშეწონილობა:**<br>ცოდნის არეალის გაფართოება,ფაქტების ა დამოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება,რაც ხელს უწყობს მასალის უკეთ ათვისებას. | 2წთ. |
| 8. | **შეფასება:**<br>განმსაზღვრელი და განმავითრებელი<br>**დანართი 1**<br>**მიზანი:**<br>ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღბული ცოდნის გაზომვა | ვერბალური<br><br>ინსტრუქტაჟი | საერთო საკლასო | **დანართი№1**<br>**მიზანშეწონილობა:**<br>**განსაზღვრელი**<br>შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს ესგ-ის მიზნებთან მიმართებით. | 4წთ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | სვადასხვა კრიტერიუმების შესაბამისად.მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა.რეკომენდაციებ ის მიცემა. | | | **განმავითარებელი** შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. | |

**გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:**

მოსწავლეებმა გამოკვეთეს მნიშვნელოვან ადგილები ზეპირი მოხსენებიდან,გაითვალისწინეს დისკუსიისა და კამათის მონაწილეთა შესაძლო არგუმენტები და მოამზადეს პასუხები.საპირპსპირო არგუმენტის მოსმენისას ჩინიშნეს ძირითადი და მოამზადეს შესაბამისი პასუხი,დააზუსტეს ტექსტში მოცემული ინფორმაცია და ამოიწერეს საკითხები შემდგომი დამუშავებისათვის.

## დანართი 1

შეფასება:
განმავითარებელი შეფასება ჯგუფური მუშობისათვის

| კრიტერიუმები | საშუალოდ | კარგად | საუკეთესოდ |
|---|---|---|---|
| აქტიურადაა ჩართული მუშაობაში | ნაწილობრივ ერთვება მუშობაში,ნაკლებად ცდილობს თავისი შესაძლებლობის გამოვლენას | კარგად ერთვება მუშობაში და ავლენს თავის შესაძლებლობას | აქტიურადაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში და მაქსიმალურად ავლენს თვის შესაძლებლობას |
| კომუნიკაციის ეფექტური ხერხების გამოყენება | ნაკლებად გადასცემს ჯგუფის წევრებს მასალას | კარგად გადასცემს ჯგუფის წევრებს მასალას | დაწვრილებით გადასცემს ჯგუფის წევრებს მასალას |
| იცავს დროის ლიმიტს | უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა | საკმარისად იცავს დროის ლიმიტს | იცავს და გონივრულად იყენებს დროის ლიმიტს |

დისკუსიის შეფასების რუბრიკა:

| კრიტერიუმები | დიახ | არა |
|---|---|---|
| მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს; | | |
| მსჯელობს არგუმენტირებულად, გამოაქვს ადეკვატური დასკვნა; | | |
| იცავს დისკუსიის წესებს და თანაკლასელის მიმართ კორექტულია. | | |
| იყენებს ფაქტებს და ციტატებს ტექსტიდან საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად; | | |
| იცავს საუბრისას დროის ლიმიტს. | | |
| დამაჯერებლად იცავს საკუთარ მოსაზრებას, მაგრამ არ ცდილობს დისკუსიაში | | |
| დომინანტური პოზიციის დაკავებას; | | |
| იცავს დისკუსიის სათანადო წესებს და ეტიკეტს; | | |